MES 7 22 0000151768

15/02/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 04.02.2022
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 16:40სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი
საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია (I, II, III, IV, V, VI, VII)
სხდომის მდივანი: მაკა კაჭარავა (VIII)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები :

1. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი -** სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნინო იმნაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **მარიამ შენგელია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **ანა ფირცხალაშვილი -** შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" სამეცნიერო კვლევების მიმართულებით ვიცე-რექტორი;
5. **ელენე ჟურავლოვა -** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
6. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

7. **გაიოზ ფარცხალაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
8. **ელიზბარ ელიზბარაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
9. **ნიკა თიკანაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
10. **გიორგი ღაღანიძე -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
11. **დავით კაპანაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
12. **დიანა მჭედლიშვილი -** შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
13. **ეკატერინე ნაცვლიშვილი -** შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
14. **თამარ ჩხეიძე -** სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
15. **თეონა მატარაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
16. **მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
17. **ნინო ინასარიძე** - "CNFA საქართველოს" გარემოს დაცვის მენეჯერი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ნინო სარჯველაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
3	სოფიკო ქურაბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
4	ანა ჯუღელი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	კახი კოპალიანი	**სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი**	პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი	I
2	ირმა დიხამინჯია			I

			ბიზნესისა და სოცილურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	
3	რომეო გალდავა		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**I**
4	თეა კორძაძე	**სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი**	აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**II**
5	ინგა აბრამიძე		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**II**
6	ნინო ჩიხლაძე		სადოქტორო პროგრამა "ფილოლოგია" ხელმძღვანელი	**II**
7	დავით მახვილაძე	**სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**	სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	**III, IV, V, VI, VII**
8	თამარ ლომინაძე		სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანი	**III, IV, V**
9	ია ირემაძე		სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე,	**III, IV,V**
10	ომან შამანაძე		„ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	**III**
11	სულხან ხუციშვილი		პროფესორი	**III**
12	ვახტანგ აბულაძე		ასოცირებული პროფესორი	**III**
13	გიორგი არღანაშვილი		შპს „გლობალ ერთი“, დირექტორის მოადგილე	**III**
14	ნანული დანელია		სტუ-ის ავტორიზაციის და აკრედიტაციის განყოფილების უფროსი	**III, IV, V, VI, VII**
15	თინათინ კაიშაური		სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, „ინფორმატიკის“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	**IV,V**
16	ლევან იმნაიშვილი		პროფესორი	**IV, V**
17	მარიამ ჩხაიძე		პროფესორი	**IV,V**

18	მედეა თევდორაძე		„ინფორმატიკის“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	**IV, V**
19	ოთარ გელაშვილი		სტუ-ის სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი	**VI, VII**
20	ნათია ბუთხუზი		სტუ-ის სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	**VI, VII**
21	რაულ თურმანიძე		სტუ-ის მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი,	**VI, VII**
22	ხათუნა ამყოლაძე		„მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიების“ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი,	**VI, VII**
23	მერაბ შვანგირაძე		„მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიების“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	**VI, VII**
24	თამარ ჭელიძე	**სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სა ხელმწიფო უნივერსიტეტი**	ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი	**VIII**
25	გრიგორ გიორგაძე		პროგრამის კოორდინატორი	**VIII**
26	თამაზ თადუმაძე		პროგრამის ხელმძღვანელი	**VIII**
27	ვახტანგ ლომაძე		პროგრამის ხელმძღვანელი	**VIII**
28	ნინო ქიმერიძე		თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის, კვლევებისა და შეფასების განყოფილების უფროსი	**VIII**

აკრედიტაციის ექპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაციაელექტრონული საშუალებითმონაწილეობის შესახებ**	**საკითხი**
1	ქეთევან ბერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ნათია სორდია	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	მარიამ ალანია	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	ნინო ქიმერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	ლანა ბოკუჩავა	(ჩაერთო „ზუმით“)	I
6	ნინო პოპიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II

7	თინათინ კიღურიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	მანანა ხაჩიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
9	მიხეილ რუხაია	(ჩაერთო „ზუმით“)	IV, V
10	მამუკა ბენაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	VI, VII
11	რომეო გალდავა	(ჩაერთო „ზუმით“)	VIII

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1.სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2.სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფილოლოგიის" დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა;
3.სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ციფრული საკომუნიკაციო ტექნოლოგიები" მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4.სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ინფორმატიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5.სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ინფორმატიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6.სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
7.სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
8.სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მათემატიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით:
√ **არა**

დამტკიცებულიდღისწესრიგი:
1.სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2.სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფილოლოგიის" დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა;

3.სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ციფრული საკომუნიკაციო ტექნოლოგიები" მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4.სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ინფორმატიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5.სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ინფორმატიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6.სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
7.სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
8.სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მათემატიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

1. პირველი საკითხი : სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფსიქოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	28.11.2012 გადაწყვეტილება N738
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ფსიქოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფსიქოლოგიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0313 - ფსიქოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ა. პოლიტკოვსკაიას N61, თბილისი, 0186, საქართველო, პირველი სასწავლო კორპუსი.
15		-

	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა - მაკა კაჭარავამ
საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება განხორციელდა 2021 წლის 26 ნოემბერს. კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში, დაწესებული შეზღუდვებიდან გამომდინარე, შეფასება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება განხორციელდა დისტანციურად, კერძოდ, zoom პლატფორმის მეშვეობით. წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის მიხედვით, ვიზიტი შედგა უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, დაწესებულების და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან, სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან და ხელმძღვანელთან, ასევე, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, სტუდენტთა მომსახურების პერსონალთან. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება მოხდა სოხუმის უნივერსიტეტის ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილის, ხოლო ელექტრონული ბიბლიოთეკის დათვალიერება - ბიბლიოთეკარის დახმარებით. ვიზიტები წარიმართა ორგანიზებულად, შეფერხების გარეშე და მიმდინარეობდა მშვიდ, თანამშრომლობით გარემოში.
სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. 2.3. მიზანშეწონილია სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის სწავლის შედეგებთან. მაგალითად, „პროფესიული პრაქტიკა“ და „საბაკალავრო ნაშრომი“ გავლის შემდეგ სტუდენტი განიმტკიცებს სწავლის ყველა იმ შედეგს, რომელზეც არის ორიენტირებული პროგრამა. ამ ორი საგნის გარდა, პროგრამით გათვალისწინებული ბოლო შედეგის განმტკიცებაზე გასვლა, შესაძლებელია მხოლოდ სასწავლო კურსით „განწყობის კლასიკური ფსიქოლოგია“, თუმცა საგნის სილაბუსში დეკლარირებულ სწავლის შედეგებში არ იკვეთება ზემოაღნიშნულ მიზანზე ორიენტაცია.
2. მიზანშეწონილია დაზუსტეს ან გადაიწეროს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საფეხურის შესაბამისად ცალკეული სასწავლო კურსების სწავლის შედეგი. მაგალითად, ზოგიერთ სილაბუსის შედეგებში წერია: იყენებს ფსიქოთერაპიულ ტექნიკებს; ატარებს პრაქტიკულ სავარჯიშოებს; პრაქტიკული ტექნიკების გამოყენება საჭიროებს კომპეტენციებს, რაც მიგვაჩნია, რომ საბაკალავრო საფეხურისთვის არ არის რელევანტური.
3. 2.4. რეკომენდებულია პრაქტიკული კომპონენტის სრულყოფის მიზნით და პროფესიული პრაქტიკის სილაბუსის შესაბამის საფეხურთან მისადაგების მიზნით ფსიქოთერაპიული მიდგომები და ტექნიკები ჩანაცვლდეს მხოლოდ კვლევის კომპონენტით და შეფასების ინსტრუმენტებით.
4. 4.4. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა იფიქროს ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის დაფინანსების მდგრადობაზე და მოიძიოს დაფინანსების ალტერნატიული საშუალებები. სასურველია 2021 წლის ბიუჯეტში დეტალურად იყოს განმარტებული დებულება „სხვა შემოწირულობების“ შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ გაზიარებულია დასკვნაში არსებული რეკომენდაცები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:20

დასრულების დრო: 14:55

14:48 - საბჭოს სხდომა დატოვა გაიოზ ფარცხალაძემ

აკრედიტაციის საბჭოს მიერ სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

√ აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

კერძოდ საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის 4.4 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებას სტანდარტის შეფასება არ შეუცვლია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:

1. მიზანშწონილია რიგი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის სწავლის შედეგებთან. მაგალითად, „პროფესიული პრაქტიკა“ და „საბაკალავრო ნაშრომი“ გავლის შემდეგ სტუდენტი განიმტკიცებს სწავლის ყველა იმ შედეგს, რომელზეც არის ორიენტირებული პროგრამა. ამ ორი საგნის გარდა, პროგრამით გათვალისწინებული ბოლო შედეგის განმტკიცებაზე გასვლა, შესაძლებელია მხოლოდ სასწავლო კურსით „განწყობის კლასიკური ფსიქოლოგია“, თუმცა საგნის სილაბუსში დეკლარირებულ სწავლის შედეგებში არ იკვეთება ზემოაღნიშნულ მიზანზე ორიენტაცია;
2. მიზანშეწონილია დაზუსტეს ან გადაიწეროს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საფეხურის შესაბამისად ცალკეული სასწავლო კურსების სწავლის შედეგი. მაგალითად, ზოგიერთ სილაბუსის შედეგებში წერია იყენებს ფსიქოთერაპიულ ტექნიკებს; ატარებს პრაქტიკულ სავარჯიშოებს; პრაქტიკული ტექნიკების გამოყენება საჭიროებს კომპეტენციებს, რაც მიგვაჩნია, რომ საბაკალავრო საფეხურისთვის არ არის რელევანტური;
3. რეკომენდებულია პრაქტიკული კომპონენტის სრულყოფის მიზნით და პროფესიული პრაქტიკის სილაბუსის შესაბამის საფეხურთან მისადაგების მიზნით ფსიქოთერაპიული მიდგომები და ტექნიკები ჩანაცვლდეს მხოლოდ კვლევის კომპონენტით და შეფასების ინსტრუმენტებით;
4. რეკომენდებულია არსებობდეს დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს პრაქტიკაზე სტუდენტთა განაწილებას, ითვალისწინებს კონკრეტულ პრაქტიკის ობიექტზე პრაქტიკის მიზანს, ხანგრძლივობას და სტუდენტების რაოდენობას;

რჩევები:

1. სასურველია, ცალკეული სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის სწავლის შედეგებთან;
2. სასურველია სასწავლო კურსებში: ფსიქოკონსულტირების საფუძვლები" და "ფსიქოთერაპიის საფუძვლები", "თანამედროვე ფსიქოლოგიის ძირითადი მიმდინარეობები" და "პიროვნების ფსიქოლოგიის საფუძვლები" გადაიხედოს და დაზუსტდეს თემების ლოგიკური თანმიმდევრობა;
3. სასურველია სასწავლო კურსებში: გეშტალტთერაპია, ფსიქოსინთეზი გაძლიერდეს ძირითადი თემების სწავლება;
4. სასურველია პროფესიული პრაქტიკის სილაბუსს დანართის სახით თან ერთვოდეს პრაქტიკის დღიური;
5. სასურველია კონკრეტული საკვლევი ინსტრუმენტები, რომელსაც გამოიყენებენ სტუდენტები პრაქტიკის მიმდინარეობის დროს, გაწერილი იყოს პროფესიული პრაქტიკის სილაბუსში;
6. სასურველია ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსში სწავლების მხოლოდ ის მეთოდები, რომლებიც რელევანტურია კურსისთვის;
7. სასურველია, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ყველა საკითხი თავმოყრილი და ხელმისაწვდომი იყოს შესაბამის ზემოაღნიშნულ ელექტორნულ პლატფორმაზე და ამ მიზნით არ მოხდეს სოციალური ქსელების გამოყენება;

8. სასურველია, ყველა შესაძლებელი გზით კრედიტების სემესტრული განაწილების შესახებ სტუდენტების ინფორმირებულობის გაზრდა, მაგ. სტუდენტის გზამკვლევის შექმნა, სემესტრის დასაწყისში საგნების არჩევის დროს მეტი კომსულტაციის ჩატარება;
9. სასურველია, რომ პრაქტიკულ სასწავლო კურსებს უძღვებოდეს დარგის პრაქტიკოსი სპეციალისტი, რაც მნიშვნელოვანია, პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული უნარ-ჩვევების განსავითარებლად;
10. სასურველია უნივერსიტეტმა გადადგას ქმედითი ნაბიჯები ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის დაფინანსების მდგრადობაზე და მოიძიოს დაფინანსების ალტერნატიული საშუალებები. სასურველია 2021 წლის ბიუჯეტში;
11. რეგულარულად მომზადდეს მიზნობრივი, თემატური ვოკშოპები საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილე აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და დამსაქმებელთათვის ხარისხის განვითარების თემებზე, უახლესი თემების გაზიარების მიზნით;
12. სასურველია განხორციელდეს ასევე საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ინტერნაციონალიზაციის ფარგლებში უცხოელ დარგის ექსპერტთა მიერ;
13. სასურველია თუ უნივერსიტეტის ხარისის უზრუნველყოფის სამსახური დაგროვილი გამოცდილებისა და გაზიარებული პრაქტიკის საფუძველზე შეიმუშავებდა რიგგარეშე მონიტორინგის მეთოდოლოგიას საგანმანათლებლო პროგრამებზე პერმანენტული დაკვირვებისა და მათი ეტაპობრივი განვითარების მიზნით;

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.
15:10 - საბჭოს სხდომა დატოვა დიანა მჭედლიშვილმა

2.მეორე საკითხი : სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფილოლოგიის" დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფილოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	18.12.2019 გადაწყვეტილება N253

5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-8
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფილოლოგიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0232 - ლიტერატურა და ლინგვისტიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი; სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტისა.
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 4600, ქ.ქუთაისი,თამარ მეფის 59.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოსწევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციი სგანხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2019 წელს, 4 წლის ვადით, ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით. გადაწყვეტილება #253 18.12.2019. ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვრა 6 თვე (01.07.2020). დაწესებულებამ ვადის დაცვით წარმოადგინა ანგარიში, რომელიც განიხილა აკრედიტაციის ექსპერტმა და წარედგინა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 18 სექტემბერს. საბჭომ

მოისმინა უნივერსიტეტის ანგარიში და ექსპერტის დასკვნა, აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხ ლის 2[11]პუნქტისსაფუძველზე, აკრედიტაციის საბჭომ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფილოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში არ მიიღო ცნობად და მიმართა ცენტრს შუამდგომლობით საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთი წლის ვადაში მონიტორინგის განხორციელების თაობაზე. სულ გამოთქმული იყო 11 რეკომენდაცია და 4 რჩევა, რომელიც საბჭომ სრულად გაიზიარა.
სსიპ - განათლების ხარსიხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების თანახმად, შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი "ფილოლოგიის" სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. მონიტორინგის დროს განხილული იყო ყველა რეკომენდაცია და რჩევა. წარმოდგენილი პროგრამა შემოწმდა I სტანდარტის, II სტანდარტის, IV სტანდარტის 4.3 კომპონენტი ბიბლიოთეკის განახლების ნაწილში და V სტანდარტის 5.2 კომპონენტის მიხედვით.
მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ: პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ვინაიდან 1.1 და 1.2 კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ვინაიდან 2.1, 2.2, 2.3 და 2.6 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო, 2.4 და 2.5 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მესამე სტანდარტი არ შეფასდა. მეოთხე სტანდარტის 4.3 კომპონენტი შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მეხუთე სტანდარტის 5.2 კომპონენტი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციებ ი:

1. რეკომენდებულია, სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შესაბამისობაში მოვიდეს სადისერტაციო საბჭოს დებულებასთან.
2. რეკომენდებულია, ფილოლოგიის სადოქტორო პრორგამაზე მიღების წინაპირობად განისაზღვროს საერთაშორისოდ აღიარებული ენებიდან: გერმანული, ინგლისური, ფრანგული, ერთ-ერთი B2 დონეზე. ხოლო, თუ დოქტორანტი კვლევის ემპირიულ ბაზად ირჩევს ინგლისურ, გერმანულ ან ფრანგულ ენებს, განისაზღვროს ამ ენებისათვის C1 დონე.
3. რეკომენდებულია, სერტიფიკატის წარმოდგენის გარდა, უნივერსიტეტმა შესთავაზოს აპლიკანტს, ვისთვისაც ქართული მშობლიური ენა არ არის, ქართულ ენაში გამოცდის ჩაბარება ქართული ენის ფლობის დონეების გათვალისწინებით.
4. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწოფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებობს სხვა სადოქტორო პროგრამა ფილოლოგიაში, კერძოდ, ევროპულ ლიტერატურაში, სადაც გაერთიანებულია ინგლისური, ფრანგული და გერმანული ლიტერატურა, ხოლო გერმანული ენათმეცნიერება არის ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის (ამ კონკრეტული პროგრამის) ნაწილი. მსგავსი პროფილების მქონე პროგრამები უნდა გაერთიანდეს.
5. კურსების ნაწილი მოითხოვს დამატებით წინაპირობებს და ენობრივ კომპეტენციებს გერმანულ, სპარსულ, თურქულ ან სხვა ენებში, თუმცა ეს წინაპირობები სილაბუსებში არ არის ნახსენები. მიზანშეწონილია ამ წინაპირობების განისაზღვრა სილაბუსში.
6. ზოგიერთი სავალდებულო ან / და არჩევით კურსის სილაბუსს აკლია თანამედროვე სპეციალიზებული ლიტერატურა, ხოლო ლინგვისტიკასა და ლიტერატურაში თანამედროვე კვლევები. მიზანშეწონილია, რომ ეს სილაბუსები მოიცავდეს მითითებებს თანამედროვე კვლევებზე. გასათვალისწინებელია ისიც, რომ 2011 წლიდან უნივერსიტეტი მონაწილეობს ბიბლიოთეკების ინტეგრირებულ ონლაინ სისტემაში, ხოლო ბიბლიოთეკას აქვს წვდომა ელექტრონულ მონაცემთა ბაზებზე, თუმცა, ეს შესაძლებლობა არც ერთი კვლევითი დარგის მიერ არ არის გამოყენებული.

7. სილაბუსებში ასახული სავალდებულო და არჩევითი ლიტერატურა უნდა ეყრდნობოდეს კონკრეტულ სასწავლო რესურსს და არა საბიბლიოთეკო საცავების ბმულებს.
8. კვლევის პოპულარიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის მიზნით, დოქტორანტმა უნდა გამოაქვეყნოს სამიდან ერთი კვლევითი ნაშრომი მაინც საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში, ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების მასალებში, ან საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზებში ჩართულ უცხოურ რეფერირებად ჟურნალებში (EBSCO, SCOPUS, Web of Science, ERIH PLUS).
9. აუცილებელია, სასწავლო მასალის აგება თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით. არ არის საკმარისი თანამედროვე გამოცემების მხოლოდ მითითება ლიტარატურის სიაში. თუ ასეთი ლიტერატურა მითითებულია, ის უნდა იყოს გამოყენებული და ჩანდეს ყოველკვირეული გეგმის მასალებში.
10. საჭიროა აკადემიური პერსონალის ჩართვა ელექტრონული სამეცნიერო რესურსების გამოყენებაში, შესაბამისი ტრენინგების, წახალისების და მონიტორინგის საშუალებით.
11. გარე შეფასების რეკომენდაციების ეფექტიანად გამოყენებისთვის აუცილებელია გაუმჯობესების გზების დასახვა და სამოქმედო გეგმის შემუშავება დროითი განაწილებითა და ჩართული პერსონალის/საუნივერსიტეტო ორგანოების განსაზღვრა.
12. დისკუსიაზე და არგუმენტებზე დაყრდნობით, საჭიროა შიდა შეთანხმების მიღწევა იმაზე, თუ რომელი რეკომენდაცია რა ფორმით და მოცულობით უნდა იყოს გათვალისწინებული და როგორ განხორციელდეს. ვინაიდან რეკომენდაციების ნაწილი მოცემული პუნქტების გაუმჯობესებისთვის საკმაოდ დიდ ძალისხმევას და რესურსებს მოითხოვს, საჭიროა კონკრეტული სამოქმედო გეგმის შემუშავება, კონკრეტულ პუნქტზე მომუშავე პერსონალის განაწილება და შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა საერთო საუნივერსიტეტო/საფაკულტეტო დონეზე.

გამოთქმული რეკომენდაციებისა და რჩევების შემდეგ დაწესებულებამ წარმოადგინა საკუთარი არგუმენტირებული პოზიცია. აღსანიშნავია, რომ დაწესებულება უმეტესწილად დაეთანხმა ექსპერტთა მიერ გამოთქმულ რეკომენდაციებსა და რჩევებს, ხოლო რეკომენდაციების ნაწილი, დაწესებულების აზრით, უკვე შესრულებულია. კერძოდ, დაწესებულების აზრით, მესამე რეკომენდაცია სილაბუსებში ენობრივი კომპეტენციებისა და წინაპირობების თაობაზე არის შესრულებული, რადგან პროგრამის წინაპირობა თავის მხრივ გულისხმობს ენობრივ წინაპირობებს, თუმცა ექსპერტების აზრით, გვხვდება საგნები, სადაც რამდენიმე უცხო ენაზეა სახელმძღვანელოები მითითებული აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რუსულენოვანი სასწავლო ლიტერატურა რამდენიმე საგანში გვხვდება. მათ შორის, როგორც დასავლეთევროპულ, ისე აღმოსავლურ ფილოლოგიაში. ასევე, რეკომენდაციაზე სილაბუსებში თანამედროვე ლიტერატურის მითითებასთან დაკავშირებით, დაწესებულების პასუხში მითითებულია ის, რაც სილაბუსებშიც გვხვდება, კერძოდ, საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების ჩამონათვალი, როგორებიც არის, მაგალითად, JSTOR - https://www.jstor.org; EbscoHost - http://search.epnet.com; Scopus - https://www.scopus.com და სხვა, თუმცა სამეცნიერო ბაზების მითითება სილაბუსებში არ ნიშნავს თანამედროვე, უახლესი ლიტერატურის მითითებას. მიზანშეწონილია, მითითებული იყოს არა საერთაშორისო სამეცნიერო ბაზები, არამედ უშუალოდ სასწავლო მასალა: წიგნები, სტატიები და სხვ. რომლებითაც უნდა ისწავლებოდეს ესა თუ ის საგანი და/ან საკითხი და შეტანილი უნდა იყოს სილაბუსებში სავალდებულო ან დამხმარე ლიტერატურაში.
ექსპერტების მიერ გამოთქმული შეხედულების თანახმად, მიზანშეწონილია უნივერსიტეტის აკადემიურ და დამხმარე პერსონალს, ასევე, სტუდენტებს და დოქტორანტებს, უტარდებოდეს ტრენინგები საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების გამოყენების, ლიტერატურის მოძიების და მსგავსი საკითხების შესახებ, უნივერსიტეტი აღნიშნავს, რომ ასეთი ტიპის შეხვედრებისა და ტრენინგების ჩატარება უკვე ტრადიციად იქცა, თუმცა მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ მსგავსი ტრენინგების შედეგად უნდა ხდებოდეს თანამედროვე ლიტერატურის, უახლესი

გამოცემების გამოყენება სასწავლო და კვლევით კომპონენტში, ასევე, წამყვან საერთაშორისო ბაზებში აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტების სამეცნიერო გამოკვლევების პუბლიკაციები და სხვ.
ამასთან აღსანისნავია, რომ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწოფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებობს სხვა სადოქტორო პროგრამა ფილოლოგიაში, კერძოდ, ევროპულ ლიტერატურაში, სადაც გაერთიანებულია ინგლისური, ფრანგული და გერმანული ლიტერატურა, ხოლო გერმანული ენათმეცნიერება არის ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის (ამ კონკრეტული პროგრამის) ნაწილი. მსგავსი პროფილების მქონე პროგრამები უნდა გაერთიანდეს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ხორციელდება ორი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა - ,,ფილოლოგია“ და ,,დასავლეთ ევროპული და ამერიკული ლიტერატურა“, რომელიც შემუშავებულია ძველი 120 ნ ბრძანების მიხედვით. ფაკულტეტის გადაწყვეტილებით პროგრამის ხელმძღვანელები უკვე მუშაობენ ორივე პროგრამის მოდიფიცირებაზე. შესაბამისად უკვე განახლებული საკვალიფიკაციოა ჩარჩოს მიხედვით, დაწესებულება 2022 წელს წარადგენს მოდიფიცირებულ პროგრამებს.
რაც შეეხება მიღების წინაპირობებს, საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმში აღნიშნულია, რომ *დოქტორანტობის კანდიდატს, თუ მას ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა და ქართული მისი მშობლიური ენა არ არის, მოეთხოვება ქართული ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატიაკრედიტაციის* ექსპერტთა რეკომენდაცია დამატებით აპლიკანტისთვის ქართულ ენაში გამოცდის ჩაბარების შეთავაზებასთან დაკავშირებით სრულიად მისაღებია და აუცილებლად იქნება გათვალისწინებული.
დაწესებულების წარმომადგენელმა მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ სილაბუსებში ეს წინაპირობა არ აისახა, რადგან ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობა ისედაც ითვალისწინებს შესაბამისი მიმართულების ენის ცოდნას. კურიკულუმში წერია: *დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვებაინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული, თურქული, არაბული ან სპარსული ენების ცოდნის დადასტურება C1 დონეზე (მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული დიპლომირებული სპეციალისტის აკადემიური ხარისხი, ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერტიფიკატი), თუ დოქტორანტობის კანდიდატი სამეცნიერო კვლევის ემპირიულ ბაზად ირჩევს რომელიმე ზემოთჩამოთვლილ ენას. ამასთან,* ყველა სილაბუსში მითითებულია სამეცნეირო ელექტრონული ბაზები, რომლებზეც უფასოდ წვდომის საშუალება აქვთ დოქტორანტებს და შეუძლიათ მოძებნონ მათთვის სასურველი მასალა.
რაც შეეხება ლიტერატურის საკითხს, აკაკი წერეთლის სახელმწიფოუნივერსიტეტის მიერ შემუშავებული და აკადემიურ საბჭოზე დამტკიცებული სილაბუსის ფორმატი არ ითვალისწინებს ლიტერატურის ასახვას (გარდა სილაბუსებში დაფიქსირებული სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურისა) ყოველკვირეული გეგმის მასალებში, თუმცა, დოქტორანტებთან მუშაობის პროცესში ზუსტდება კონკრეტული მასალებიც და დოქტორანტები თავადაც იძიებენ მითითებული სამეცნიერო ბაზების თუ ბეჭდური ლიტერატურის გამოყენებით მათთვის საჭირო ახალ მასალას.
მნიშვნელოვანი ასევე, რომ რუსულენოვანი ლიტერატურა, აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინების შემდეგ, სილაბუსებში დარჩა მინიმალური რაოდენობით, ისიც, დამატებითი ლიტერატურის ჩამონათვალში, მხოლოდ საბაზისო რუსულენოვანი ლიტერატურა, როგორიცაა, მაგალითად, კლასიკურ ფილოლოგიაში, ლოსევის შრომები. რაც შეეხება მოძველებულ ლიტერატურას, ექსპერტთა რეკომენდაციების შემდეგ, კიდევ ერთხელ გადაიხედა და განახლდა მითითებული ლიტერატურის ჩამონათვალი პროგრამის სილაბუსებში.

იქიდან გამომდინარე, რომ ფილოლოგიაში „მოძველებული ლიტერატურა“ ფარდობითი ცნებაა, ამ სიაში დარჩა ძველი, მაგრამ ღირებული სამეცნიერო ლიტერატურა და არ შევიდა ახალი, მაგრამ ნაკლებად ღირებული ლიტერატურა.
ამასთან აღსანისნავია, რომ სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა უკვე შესაბამისობაშია მოსული სადისერტაციო საბჭოს განახლებულ, 23.11.2021 წელს დამტკიცებულ დებულებასთან, მუხლი 7.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ გამოთქვა მოსაზრება, რომ მიეცათ 60 დღიანი ვადა დაწესებულებითვის რეკომენდაციების შესასრულებლად, ვინაიდან რეკომენდაციათა უმრავლესობას დაწესებულება ისედაც იზიარებდა.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:20
დასრულების დრო: 15:30

აკრედიტაციის საბჭოს მიერ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფილოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.
კერძოდ საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის 2.2 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებას სტანდარტის შეფასება არ შეუცვლია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფილოლოგიის" დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით 60 კალენდარული დღის ვადის მიცემის საკითხი, ოქმში დაფიქსირებული რეკომენდაციების შესრულების მიზნით.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შესაბამისობაში მოვიდეს სადისერტაციო საბჭოს დებულებასთან.
2. რეკომენდებულია, ფილოლოგიის სადოქტორო პრორგამაზე მიღების წინაპირობად განისაზღვროს საერთაშორისოდ აღიარებული ენებიდან: გერმანული, ინგლისური, ფრანგული, ერთ-ერთი B2 დონეზე. ხოლო, თუ დოქტორანტი კვლევის ემპირიულ ბაზად ირჩევს ინგლისურ, გერმანულ ან ფრანგულ ენებს, განისაზღვროს ამ ენებისათვის C1 დონე.
3. რეკომენდებულია, სერტიფიკატის წარმოდგენის გარდა, უნივერსიტეტმა შესთავაზოს აპლიკანტს, ვისთვისაც ქართული მშობლიური ენა არ არის, ქართულ ენაში გამოცდის ჩაბარება ქართული ენის ფლობის დონეების გათვალისწინებით.
4. კურსების ნაწილი მოითხოვს დამატებით წინაპირობებს და ენობრივ კომპეტენციებს გერმანულ, სპარსულ, თურქულ ან სხვა ენებში, თუმცა ეს წინაპირობები სილაბუსებში არ არის ნახსენები. მიზანშეწონილია ამ წინაპირობების განსაზღვრა სილაბუსში.
5. ზოგიერთი სავალდებულო ან / და არჩევით კურსის სილაბუსს აკლია თანამედროვე სპეციალიზებული ლიტერატურა, ხოლო ლინგვისტიკასა და ლიტერატურაში

თანამედროვე კვლევები. მიზანშეწონილია, რომ ეს სილაბუსები მოიცავდეს მითითებებს თანამედროვე კვლევებზე. გასათვალისწინებელია ისიც, რომ 2011 წლიდან უნივერსიტეტი მონაწილეობს ბიბლიოთეკების ინტეგრირებულ ონლაინ სისტემაში, ხოლო ბიბლიოთეკას აქვს წვდომა ელექტრონულ მონაცემთა ბაზებზე, თუმცა, ეს შესაძლებლობა არც ერთი კვლევითი დარგის მიერ არ არის გამოყენებული.

6. სილაბუსებში ასახული სავალდებულო და არჩევითი ლიტერატურა უნდა ეყრდნობოდეს კონკრეტულ სასწავლო რესურსს და არა საბიბლიოთეკო საცავების ბმულებს.
7. აუცილებელია, სასწავლო მასალის აგება თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით. არ არის საკმარისი თანამედროვე გამოცემების მხოლოდ მითითება ლიტარატურის სიაში. თუ ასეთი ლიტერატურა მითითებულია, ის უნდა იყოს გამოყენებული და ჩანდეს ყოველკვირეული გეგმის მასალებში.
8. საჭიროა აკადემიური პერსონალის ჩართვა ელექტრონული სამეცნიერო რესურსების გამოყენებაში, შესაბამისი ტრენინგების, წახალისების და მონიტორინგის საშუალებით.
9. კვლევის პოპულარიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის მიზნით, დოქტორანტმა უნდა გამოაქვეყნოს სამიდან ერთი კვლევითი ნაშრომი მაინც საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში, ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების მასალებში, ან საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზებში ჩართულ უცხოურ რეფერირებად ჟურნალებში (EBSCO, SCOPUS, Web of Science, ERIH PLUS).
10. გარე შეფასების რეკომენდაციების ეფექტიანად გამოყენებისთვის აუცილებელია გაუმჯობესების გზების დასახვა და სამოქმედო გეგმის შემუშავება დროითი განაწილებითა და ჩართული პერსონალის/საუნივერსიტეტო ორგანოების განსაზღვრა.
11. დისკუსიაზე და არგუმენტებზე დაყრდნობით, საჭიროა შიდა შეთანხმების მიღწევა იმაზე, თუ რომელი რეკომენდაცია რა ფორმით და მოცულობით უნდა იყოს გათვალისწინებული და როგორ განხორციელდეს. ვინაიდან რეკომენდაციების ნაწილი მოცემული პუნქტების გაუმჯობესებისთვის საკმაოდ დიდ ძალისხმევას და რესურსებს მოითხოვს, საჭიროა კონკრეტული სამოქმედო გეგმის შემუშავება, კონკრეტულ პუნქტზე მომუშავე პერსონალის განაწილება და შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა საერთო საუნივერსიტეტო/ საფაკულტეტო დონეზე.

რჩევები:

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწოფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებობს სხვა სადოქტორო პროგრამა ფილოლოგიაში, კერძოდ, ევროპულ ლიტერატურაში, სადაც გაერთიანებულია ინგლისური, ფრანგული და გერმანული ლიტერატურა, ხოლო გერმანული ენათმეცნიერება არის ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის (ამ კონკრეტული პროგრამის) ნაწილი. მსგავსი პროფილების მქონე პროგრამები უნდა გაერთიანდეს.

მიზანშეწონილია, სადოქტორო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის, აგრეთვე სტუდენტებისთვის, გაიმართოს სპეციალური სემინარების ციკლი საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების გამოყენების, დარგის სამეცნიერო პუბლიკაციების მოძიებისა და გამოყენების თაობაზე.

საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად სასურველია სადოქტორო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის აკადემიური აქტივობების ფინანსური მხარდაჭერით უზრუნველყოფა;

მიზანშეწონილია ფილოლოგიის სფეროში საჯარო ლექციების, საერთაშორისო კვლევებისა და კონფერენციების პოპულარიზაცია.

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი

საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა“ 31 - ე მუხლის 22 - ე პუნქტის საფუძველზე სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს "ფილოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით საგანმანათლებლო დაწესებულებას ხარვეზის გამოსასწორებლად განუსაზღვრა 60 კალენდარული დღე.

3.მესამე საკითხი : სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ციფრული საკომუნიკაციო ტექნოლოგიები" მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	22.06.2021 გადაწყვეტილება N616043
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინჟინერიის მაგისტრი ტელეკომუნიკაციაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0714 - ელექტრონიკა და ავტომატიზაცია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0160, თბილისი, კოსტავას75, მე-8 სასწავლოკორპუსი, მე-5 სართული
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოსწევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა- ნინო იმნაძემ, დავით კაპანაძემ და ელიზბარ ელიზბარაშვილმა

საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 22.06.2021 გადაწყვეტილებაში განსაზღვრული იმ შესაბამისი ანგარიშის წარმოდგენის ვადის დაცვით, საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა 2021 წლის 8 დეკემბერს წარმოადგინა ანგარიში რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ. ანაგარიშში მოცემულია იმ პირთა სია, რომლებიც ჩართულნი იყვნენ რეკომენდაციების და რჩევების გათვალისწინების პროცესში. ეს პირები წარმოადგენენ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს.
პროგრამის ახალ რედაქციაში პროგრამის პირველი მიზანი ფორმულირებულია ახლებურად და ასახავს პროგრამის სახელწოდების არსს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამაზე შესაბამისი ცოდნისა და მომზადების მქონე პირთა ჩარიცხვის უზრუნველყოფად დაშვების წინაპირობებს დაემატა ინგლისური ენის ცოდნის მოთხოვნა.
რეკომენდაციის შესაბამისად გადაიხედა პროგრამის კონცენტრაციები, მოხდა მათი მოდიფიცირება და ოპტიმიზირება 3 კონცენტრაციად. მოდიფიცირების შესაბამისად დაჯგუფდა და აღიწერა როგორც პროგრამის საერთო სწავლის შედეგები, ასევე შედგები ცალკეული კონცენტრაციებისთვის. რეკომენდაციების შესაბამისად განხორციელდა ცვლილებები სასწავლო კურსებში „სამეწარმეო და ტექნოლოგიურ ინოვაცათა მენეჯმენტი“, „ანტენები“, „სიგნალთა მოდულაციები“. საბჭოს გადაწყვეტილებით განისაზღვრა საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი და ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.
სამაგისტრო ნაშრომის შესასრულებლად მაგისტრანტის მიერ ჩატარებული ლიტერატურის მიმოხილვის და ანალიზის უზრუნველსაყოფად დაწერებულებას გააჩნია რესურსები (წარმოდგენილია განახლებებიც), რომლებიც აღწერენ დარგში უახლესი კვლევების შედეგებს. მათი გამოყენების სავალდებულობა განისაზღვრება შესაბამისი დებულებებით.
პროგრამის ბიუჯეტის პუნქტები გაწერილია უნივერსიტეტში მოქმედი საერთო წესის შესაბამისად. სახსრები აკადემიური პერსონალის საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით გათვალისწინებულია უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტში.
შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად განსაზღვრულია შესაბამისი საერთო საუნივერსიტეტო დებულებით. დებულების შესაბამისად პერიოდულად განახორციელდება პროგრამის სწავლის შედეგების (ცოდნა, უნარები, პასუხილმგებლობა და ავტონომიურობა) მიღწევის მონიტორინგი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ დააზუსტა, რომ მიუხედავად კონცენტრაციების განსაზღვრისა, ექნება თუ არა სტუდენტს სამივე მიმართულებით ზოგადი ხედვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
პროგრამის ხელმძღვანლმა განმარტა, რომ პროგრამა იმგვარად არის შემუშავებული, რომ ყველა კონცენტრაცია ერთმანეთთან არის დაკავშირებული სწავლის პროცესის განმავლობაში.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:00
დასრულების დრო: 16:08

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ციფრული საკომუნიკაციო ტექნოლოგიები" მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ციფრული საკომუნიკაციო ტექნოლოგიები" მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

4.მეოთხე საკითხი : საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ინფორმატიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინფორმატიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	29/04/2021 გადაწყვეტილება №491109
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინფორმატიკის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0613 - პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
12	სწავლების ენა	ქართული

13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	0175, საქართველო, თბილისი, მ.კოსტავას ქუჩა N77, სასწავლო კორპუსი N6
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა- ნინო იმნაძემ, დავით კაპანაძემ და ელიზბარ ელიზბარაშვილმა.
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, უსდ-ს დაეკისრა ანგარიშის წარმოდგენა არაუგვიანეს 2021 წლის 29 ნოემბრისა. აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიღებისთანავე, რეკომენდაციების გათვალისწინებისათვის უსდ-ში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ პროგრამის ხელმძღვანელი და აკადემიური პერსონალი. სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელდა რეკომენდაციებით გათვალისწინებული ცვლილებები, რამაც გამოიწვია პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის ცვლილება, რაც დამტკიცებული იქნა სტუ აკადემიურ საბჭოზე 2021 წლის 26 ნოემბრის დადგენილებით. უსდ-მ წარმოადგინა ანგარიში 2021 წლის 29 ნოემბერს. ამ ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებამ მეტწილად გაითვალისწინა საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული შესასრულებელი რეკომენდაციები:
1. სამიზნე ნიშნულების ცხადად დადგენა (გეგმის და შესაბამისი ამოცანების წარმოება) და შესრულების მონიტორინგი და გაუმჯობესების გზების დასახვა;
2. თანახელმძღვანელების/კოორდინატორების გამოყოფა კონცენტრაციების მიხედვით;
3. დაკორექტირდეს რიგი სასწავლო კურსების სილებუსები (დეტალური ინფორმაცია იხილეთ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში);
4. განახლდეს რიგ სასწავლო კურსებში სასწავლო ლიტერატურა (დეტალური ინფორმაცია იხილეთ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში);
5. მენეჯმენტის სქემის დახვეწა: - პროგრამა საკმაოდ მოცულობითია და პროგრამის ხელმძღვანელს, სასურველია ჰყავდეს მაგ. მოდულების/კონცენტრაციების მიხევდით

თანახელმძღვანელები; - სამიზნე ნიშნულების დადგენა და მონიტორინგი;
6. მოტივაციის სქემის შემუშავება: აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისათვის - სტუდენტებისათვის

რაც შეეხება პირველ რეკომენდაციას, აღნიშნული რეკომენდაციის შესასრულებლად, თვითშეფასების ჯგუფმა სამიზნე ნიშნულების მიღწევა დაუკავშირეს საბაკალავრო თეზისს და ამ მიმართულებით ჩაატარეს დიდი სამუშაო. აგრეთვე დახვეწეს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების პროცედურები.

მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს პროგრამის შემუშავების პროცესში, 2020 წლის 5 მარტს მიღებული გადაწყვეტილება, სადაც კონცენტრაციების მიხედვით გამოყოფილია პასუხსიმგებელი პირები, თუმცა დამატებითი დოკუმენტაცია მათი თანაკოორდინატორებად დანიშვნის თაობაზე ან ამ პირების უფლება/მოვალეობების შესახებ წარმოდგენილი არ არის.

მნიშვნელოვანია ასევე მე-3 რეკომენდაცია, კერძოდ, დაწესებულებამ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია და განაახლა ექსპერტთა დასკვნაში მითითებული სილაბუსები. ცვლილებები შეეხო როგორც სწავლების წინაპირობებს, ასევე შინაარსობრივ ნაწილს. შედეგად პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი, აგრეთვე ცალკეული სასწავლო კურსები მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია. დაწესებულებამ ასევე გაითვალისწინა მე-4 რეკომენდაცია და განაახლა ექსპერთა დასკვნაში მითითებულ სილაბუსებში სასწავლო ლიტერატურა.

რაც შეეხება მე-6 რეკომენდაციას, ამ რეკომენდაციასთან დაკავშირებით ახალი დოკუმენტი არ შემუშავებულა. წარმოდგენილია მხოლოდ სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 17 თებერვლის დადგენილება პროფესორმასწავლებელთა სახელფასო დანამატის გაცემის წესის თაობაზე და უნივერსიტეტის 2018-2024 წლების სტრატეგიული გეგმა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ახალი სტრატეგიული გეგმა, სადაც პროფesორებთან მიმართებაში საუბარია კვლევითი კლასტერების შექმნაზე რასთან დაკავშირებითაც უკვე მიმდინარეობს შესაბამისი პროცედურები. გარდა ამისა, რეორგანიზაციის შედეგად შეიქმნა კონკრეტული ერთეულები, რომლებიც მხარს უჭერენ პროფესორებსა და მასწავლებლებს საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის კუთხით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:00

დასრულების დრო: 16:08

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ინფორმატიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ინფორმატიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

5.მეხუთე საკითხი : სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ინფორმატიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინფორმატიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	27/05/2021 გადაწყვეტილება №491328
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინფორმატიკის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0613 - პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	0175, საქართველო, თბილისი, მ.კოსტავას ქუჩა N77, სასწავლო კორპუსი N6
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა- ნინო იმნაძემ და დავით კაპანაძემ

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, უსდ-ს დაეკისრა ანგარიშის წარმოდგენა არაუგვიანეს

2021 წლის 29 ნოემბრისა. აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიღებისთანავე, რეკომენდაციების გათვალისწინებისათვის უსდ-ში შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელი და აკადემიური პერსონალი. სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელდა რეკომენდაციებით გათვალისწინებული ცვლილებები, რამაც გამოიწვია პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის ცვლილება, რაც დამტკიცებული იქნა სტუ აკადემიურ საბჭოზე 2021 წლის 26 ნოემბრის დადგენილებით.
უსდ-მ წარმოადგინა ანგარიში 2021 წლის 29 ნოემბერს. ამ ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებამ მეტწილად გაითვალისწინა საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები. შესაბამისად, მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული პროგრამის როგორც სტრუქტურა, ასევე სილაბუსები და შინაარსი.
რაც შეეხება რეკომენდაციას წინაპირობასთან დაკავშირებით, დაწესებულებამ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია, თუმცა სხვადასხვა მიზეზების გამო პროგრამაში გააკეთა ზოგადი ჩანაწერი „უცხო ენის B2 დონეზე ცოდა“. აღნიშნული ჩანაწერი საკამათოა, ვინაიდან, აჩენს შეკითხვებს შესაძლებელია თუ არა ნებსიმიერი ენის B2 დონეზე ცოდნა გახდეს ამ პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს და წინაპირობასთან დაკავშირებით განმარტა, რომ აღნიშნული წარმოადგენს ტექნიკურ ხარვეზს, რაც აუცილებალდ იქნება დაზუსტებული დაწესებულების მიერ.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:00
დასრულების დრო: 16:08
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ინფორმატიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ინფორმატიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

6.მეექვსე საკითხი : სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	31/05/2021 გადაწყვეტილება №501834
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი

7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0715 - მექანიკა და ლითონის საქმე
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	0175, საქართველო, თბილისი, მ.კოსტავას ქუჩა N68, სასწავლო კორპუსი N1
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა- ნინო იმნაძემ და დავით კაპანაძემ

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ 30 ნოემბერს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი იქნა ანგარიში მექანიკის ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის სტანდართებთან შესაბამისობის მიზნით საბჭოს მიერ გაწერილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ 2021 წლის 31 მაისის გადაწყვეტილებით #501834 წარმოსადგენი ჰქონდა ანგარიშე რეკომენდაციების შესრულების შესახებ სადაც იყო გაწერილი 2 რეკომენდაცია და 2 რჩევა. უმაღლეს დაწესებულებამ წარმოადგინა ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია რეკომენდაციების შესრულების შესახებ. ანგარიშის მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაწერილი რეკომენდაციების შესრულებისათვის საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი.

სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელებული იქნა პროგრამაში ცვლილებები საბჭოს მიერ გაწეული რეკომენდაციის შესაბამისად. კერძოდ, სამუშაო ჯგუფმა მოახდინა მექანიკის ინჟინერიის და ტექნოლოგიის პროგრამის ლაბორატორიებში უსაფრთხოების წესების ქართულ ენაზე თარგმნა და მათი განთავსება თვალსაჩინო ადგილებზე.

ფაკულტეტის მენეჯერის მიერ განხორციელებული იქნა ცვლილებები მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტში. კერძოდ, პროგრამის ბიუჯეტში გამოიყო აკადემიური/მოწვეული პერსონალისათვის სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის ხარჯები . ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ, მისი, როგორც სამეცნიერო საქმიანობაში ჩართული პირის მოსაზრებით, აკადემიური/მოწვეული პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის დაფინანსების ხარჯები წარმოდგენილ ბიუჯეტის მიხედვით იყო ძალიან ცოტა (3000 ლარი).

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს და აღნიშნა, რომ ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო საქმინობის დაფინანსების ხარჯები, გარდა ამისა რეკომენდაციის შესაბამისად. ლაბორატორიაში მითითებები განთავსდა ასევე ქართულ ენაზე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:18

დასრულების დრო: 16:24

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის"მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

7.მეშვიდე საკითხი : სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	31/05/2021 გადაწყვეტილება №501835
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-

11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0715 - მექანიკა და ლითონის საქმე
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	0175, საქართველო, თბილისი, მ.კოსტავას ქუჩა N68, სასწავლო კორპუსი N1
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა- ნინო იმნაძემ და დავით კაპანაძემ

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ 30 ნოემბერს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი იქნა ანგარიში მექანიკის ინჟინერიის სადოქტორო პროგრამის სტანდართებთან შესაბამისობის მიზნით საბჭოს მიერ გაწერილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ 2021 წლის 31 მაისის გადაწყვეტილებით #501835 წარმოსადგენი ჰქონდა ანგარიში რეკომენდაციების შესრულების შესახებ სადაც იყო გაწერილი 4 რეკომენდაცია. უმაღლეს დაწესებულებამ წარმოადგინა ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია რეკომენდაციების შესრულების შესახებ. ანგარიშის მიხედვით საგანმანათლებლო სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაწერილი რეკომენდაციების შესრულებისათვის საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფის მიერ განისაზღვრა პროგრამაში ცვლილებები საბჭოს მიერ გაწეული რეკომენდაციის შესაბამისად.

სამუშაო ჯგუფის მიერ ჩატარებული იქნა შრომის ბაზრის კვლევა. პროგრამის ფარგლებში რომლის მიზანს წარმოადგენდა ორგანიზაციების დამოკიდებულებების შესწავლა პროგრამასთან დაკავშირებით. კვლევა ჩატარდა 2021 წლის ივლისში, მასში მონაწილეობა მიიღეს პოტენციურმა დამსაქმებლებმა აღნიშნული მიმართულებით. კვლევაში გამოყენებული იყო რაოდენობრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ, კვლევა ჩატარდა ფარული ტექნიკის გამოყენებით. გამოყენებული იყო ინტერნეტ სერვისი - Google Forms. კვლევაში მონაწილეობდა 11 პოტენციური დამსაქმებელი. ამასთან, წარმოდგენილი იყო საგანმანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსის სილაბუსი, სადაც გათვალისწინებული იყო საბჭოს მიერ გაწერილი რეკომენდაცია. სილაბუსი შინაარსობრივად შეესაბამებოდა სასწავლო კურსის შინაარს. მასში მოყვანილი იყო ქართული და უცხოური თანამედროვე ლიტერატურა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ კურსის შინაარსი შეესამებოდა

პროგრამის საფეხურს. უმაღლესი დაწესებულების მიერ ასევე იქნა გათვალისწინებული ექსპერთა ჯგუფის რეკომენდაცია სასწავლო კურსის - „მანქანათმშენებლობა“ დასახელების ცვლილებასთან დაკავშირებით.
წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად რიგ სასწავლო კურსებში: კვლევის მეთოდები მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგიაში; რობოტები და რობოტოტექნიკური სისტემები; საწარმოო პროცესები; მოწყობილობები და სისტემები; სამრეწველო ტექნოლოგიური მანქანები; ტექნიკური დიაგნოსტიკის მეთოდები განახლებულია თანამედროვე სამეცნიერო პუბლიკაციით/ლიტერატურით. აღსანიშნავია, რომ საბჭოს მიერ რეკომენდაციის გაცემის საფუძველი იყო დაცულ დისერტაციებში და სილაბუსებში მოძველებული ლიტერატურის არსებობა. ცხადია, ცვლილებები უკვე დაცულ დისერტაციებში ვეღარ მოხდებოდა, ამიტომ მნიშვნელოვანი იყო ამ ეტაპზე პროგრამის განმახორციელებლებს ჰქონოდათ განსაზღვრული „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“-ის, მე16 პუნქტში „სასწავლო კურსების პროგრამების - სილაბუსების შემუშავება“ მიეთითებინათ თანამედროვე ლიტერატურის აუცილებლობა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით რეკომენდაცია განხილული იქნა სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელებთან.
მნიშვნელოვანია ასევე, რომ უმაღლესი დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პერსონალის პროფესიული განვითარების წესი, რომელიც თარიღდება 06.06.2019 რიცხვით. პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმა წარმოდგენილი ყოფილა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს და აღნიშნა, რომ დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს პროფესიული განვითარების გეგმა. ამასთან ინსტიტუციაში შექმნილია სპეციალური სტრუქტურული ერთეული- ,,პროფესიული განვითარების ცენტრი“. თუმცა აღნიშნა, რომ განვითარების გეგმის ნაწილი ჯერ კიდევ შემუშავების პროცესში იყო, შესაბამისად, მისი დამტკიცება გარკვეულ პროცედურებთან იყო დაკავშირებული.
სხდომა ზეგამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:18
დასრულების დრო: 16:24
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის"მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

8.მერვე საკითხი : სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მათემატიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მათემატიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-

3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	25/06/2021 გადაწყვეტილება №694535
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	მათემატიკის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0541 - მათემატიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	35
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0177, თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა, 1
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა- ნინო ჭალაგანიძემ, ნინო ინასარიძემ, მარიამ შენგელიამ, თეონა მატარაძემ, ნინო ინასარიძემ

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მერვე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილების საფუძველზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მათემატიკის“ საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენის პირობით. ინსტიტუციამ წარმოადგინა ანგარიში 2021 წლის 27 დეკემბერს. ანგარიშის მიხედვით შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელსაც დაევალა აკრედიტაციის

საბჭოს რეკომენდაციების შესრულების უზრუნველყოფა. ჯგუფის მუშაობის შედეგად, დაინტერესებული მხარის ჩართულობით გათვალისწინებულ იქნა ყველა რეკომენდაცია და შევიდა შესაბამისი ცვლილებები პროგრამასა და სილაბუსებში, რომელიც დამტკიცდა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე. აღსანიშნავია, რომ პროგრამაში, აგრეთვე, განხორციელდა რიგი ცვლილებები. კერძოდ პროგრამის ხელმძღვანელებს დაემატა გოტინგენის უნივერსიტეტის პროფესორი რალფ მეიერი და სწავლების ენად განისაზღვრა ქართული, ინგლისური კომპონენტებით, რაც მნიშვნელოვნად აძლიერებს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის კომპონენტს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული შესასრულებელი რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, პროგრამის სტრუქტურიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს ინგლისური ენა (B2 დონე);

2. რეკომენდებულია, „მათემატიკური კვლევების თანამედროვე მეთოდების“ სასწავლო კურსის მიზნები, სწავლის შედეგები და კურსის შინაარსი მოყვანილ იქნას სრულ შესაბამისობაში.

3. რეკომენდირებულია სადოქტორო პროგრამის კომპონენტებისათვის - დოქტორანტის სემინარი, სამეცნიერო კვლევითი პროექტი - დადგინდეს წარსადგენი ნაშრომისადმი (სტრუქტურა, გვერდების რაოდენობა, შრიფტი, ველები დაა. შ) სარეკომენდაციო მოთხოვნები.

დაწესებულების მიერ მოხდა ყველა რეკომენდაციის განხორციელება, კერძოდ,პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვრა -ინგლისური ენის (B2 - დონე) ცოდნის დადასტურება. ამასთან მათემატიკური კვლევების თანამედროვე მეთოდების“ სასწავლო კურსის სახელწოდება დაკორექტირდა და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით - „მათემატიკური კვლევების ზოგიერთი თანამედროვე მეთოდი“.

რაც შეეხება მე-3 რეკომენდაციას, რეკომენდაცია გათვალისწინებულია, კერძოდ, წარმოდგენელია „დოქტორანტის სემინარის“ სილაბუსი, სადაც აღწერილია სარეკომენდაციო მოთხოვნები წარსადგენი ნაშრომისადმი (ნაშრომის სტრუქტურა, ფორმატი, მოცულობა და სხვ).

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება მე-8 საკითხის განხილვის დროს დაეკისრა საბჭოს წევრს, მაკა კაჭარავას.

დაწყების დრო: 16:31
დასრულების დრო: 16:35

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მათემატიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრი სშედეგი:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მათემატიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 16:40 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის მდივანი
კაჭარავა მაკა